



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 111

“ 19 აპრილი 2019 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზ. №24-26-ის მიმდებარედ არსებული 42 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.05.010.047) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მაიფაზისთვის“ (ს/ნ: 404553700) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122¹ მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი №24-26-ის მიმდებარედ არსებული 42 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.05.010.047) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მაიფაზისთვის“ (ს/კ 404553700) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 27 მარტის №19.348.448 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზ. №24-26-ის მიმდებარედ არსებული 42 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.05.010.047) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მაიფაზისთვის“ (ს/ნ: 404553700) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 3600 (სამი ათას ექვსასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე